გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

27 მარტი 2024

N 2-391

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს „აგროჰაბზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2024 წლის 26 მარტს სამინისტროს მომართა შპს „სტოკმა“ და შპს „აგროჰაბმა“ და ითხოვეს შპს „სტოკზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A-ს 272,5 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „აგროჰაბზე“ გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „სტოკის“ 2024 წლის 26 მარტის N8445 განცხადებისა და შპს „აგროჰაბის“ 2024 წლის 26 მარტის N8443 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „აგროჰაბზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404502098) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000034) შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

   - R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 272,5 კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;

3. შპს „აგროჰაბმა“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „აგროჰაბს“;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგროჰაბის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე